550 № 7452

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშობლო დედის ძუძუს არ გაიცვლების ნაცვალად.

1991 შაბათი 31 აგვისტო № 103 (10496) ფასი 5 კაპ.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

გაზეთი გამოდის 1930 წლის 1 მარტიდან

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საგანგებო სესია

საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის სხდომა, რომელიც 26 აგვისტოს გაიმართა, ისტორიაში შევა როგორც „საგანგებო". რა თქმა უნდა, ორი კვირისა და ორი დღის წინ არდადეგებზე წასვლისას, უზენაესი საბჭოს წევრები ვერც კი იფიქრებდნენ, რომ დროის ამ მოკლე მონაკვეთში მოხდებოდა ასეთი საოცარი ცვლილებები სულთმობრძავი იმპერიის პოლიტიკურ ასპარეზზე, რომ მათ მოუწევდათ შეხვედრა პრაქტიკულად სხვა ეპოქაში. გადაილახა საშიში უდელტეხილი ქვეყანაში ბოროტებისა და სიკეთის, ძალადობისა და სამართლიანობის, დიქტატურისა და დემოკრატიის ბრძოლაში, ქვეყანაში, სადაც თითქმის ორი თაობის ცხოვრების განმავლობაში შელახული იყო ყოველივე ის, რაც შეადგენს ადამიანის ღირსეული ცხოვრების საფუძველს. ამარ ალმოჩნდა იმათი მცდელობა, ვინც უმწეოდ, მაგრამ ბოროტად ცდილობდა ხიშტების მეშვეობით გადაელობა გზა ადამიანებისათვის თავისუფლებისაკენ და კვლავ ჩაეთრია ისინი სიცრუისა და ძალადობის საზარელ მორევში. მათ თავიანთ განკარგულებაში ჰქონდათ ყველაფერი, რასაც ახლა რეალურ ძალას უწოდებენ, მაგრამ განგების ნება-სურვილით მოხდა ისე, რომ ისინი უმწეონი და უსუსურნი აღმოჩნდნენ ქუჩაში გამოსული შეუიარაღებელი ხალხის წინაშე... და ხალხმა გაიმარჯვა, რუსეთის დემოკრატიული ძალების სწორედ ეს გამარჯვება და მასთან დაკავშირებული მოვლენები გახდა პარლამენტის ახლანდელ სხდომაზე დეპუტატთა სჯა-ბაასის საგანი.

სხდომა გახსნა უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ აკაკი ასათიანმა, რომელმაც სიტყვა მისცა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს ზვიად გამსახურდიას. სახელმწიფოს მეთაური საგრძნობლად ღელავდა, რაც რა თქმა უნდა სავსებით ბუნებრივად გამოიყურებოდა გასული კვირის იმ დრამატული მოვლენების შემდეგ, რომლებიც ყველა ჩვენგანმა განიცადა. პრეზიდენტმა მოკლედ გააანალიზა გადატრიალების ჩაშლის შემდეგ შექმნილი სიტუაცია, შეფასება მისცა რესპუბლიკაში შექმნილ პოლიტიკურ ვითარებას კრიზისის დღეებში, დაასაბუთა რესპუბლიკის ხელმძღვანელობის მიერ გადადგმული ნაბიჯები კრიტიკულ მომენტში, როცა იმპერიის სამხედრო მანქანა სავსებით აშკარად იმუქრებოდა საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობის წინააღმდეგ დამსჯელი აქციებით. ბატონმა ზვიად გამსახურდიამ დიდი შეფასება მისცა რუსეთის დემოკრატიული ძალების მოქმედებას მისი პრეზიდენტის ბორის ელცინის მეთაურობით, რომლებმაც არ მისცეს საშუალება ხუნტას, ხორცი შეესხა მისი ბოროტი ზრახვებისათვის.

პრეზიდენტის გამოსვლის ფაქტობრივი გაგრძელება გახდა დღის წესრიგის პირველი საკითხის განხილვა, რომელიც ეხებოდა 1991 წლის 19-21 აგვისტოს მოვლენათა პოლიტიკურ შეფასებას. ამ საკითხზე გამოვიდა უზენაესი საბჭოს საგარეო ურთიერთობათა კომისიის თავმჯდომარე თედო პაატაშვილი. კამათში დეპუტატები ერთსულოვანნი იყვნენ მომხდარი მოვლენების შეფასებაში, თუმცა რესპუბლიკის ხელმძღვანელობის პოზიციის გაანალიზებისას მათი აზრი ყოველთვის როდი ემთხვეოდა ერთმანეთს. მიღებულ დადგენილებაში უზენაესი, საბჭო, რომელმაც დაგმო დიქტატურისა და ტოტალიტარიზმის ყოველგვარი გამოვლინება, სამხედრო ძალის გამოყენებამ მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ, მიესალმა რუსეთის დემოკრატიული ძალების შთამბეჭდავ გამარჯვებას, ქვეყნისას, რომელმაც მომავალში უნდა დაჩქაროს კომუნისტური რეჟიმის დემონტაჟი და საბჭოთა იმპერიის დაშლა. უზენაესმა საბჭომ თანაგრძნობა გამოუცხადა უთანასწორო ბრძოლაში დაღუპულთა ოჯახებს.

უზენაესმა საბჭომ განიხილა კანონპროექტები: „საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის შემოღებისა და ამასთან დაკავშირებით საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ" და „საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის შესახებ". ისინი წარმოადგინა და მრავალ შეკითხვას უპასუხა საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრმა ჯონი ხეცურიანმა. კამათის შემდეგ უზენაესმა საბჭომ მიიღო დადგენილება ამ კანონების სამოქმედოდ შემოღების შესახებ.

უზენაესი საბჭო დაეთანხმა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულებას თავდაცვის დეპარტამენტის შექმნის შესახებ, რომელსაც დაექვემდებარება შინაგანი ჯარები—რესპუბლიკის ეროვნული გვარდია. დეპუტატთა აზრით, ასეთმა გადაწყვეტილებამ ხელი უნდა შეუწყოს იმ პრობლემის მოწესრიგებას, რომელიც წამოიჭრა ამ ცოტა ხნის წინათ გვარდიის სტატუსის შეცვლასთან დაკავშირებით. სხვათა შორის, უზენაესმა საბჭომ გამოყო დეპუტატთა ჯგუფი, რომელიც დაუყოვნებლივ გაემგზავრება ეროვნული გვარდიის ქვედანაყოფების ადგილსამყოფელში.

შემდეგ დეპუტატებს წარუდგინეს რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად ამ ცოტა ხნის წინათ დანიშნული ბესარიონ გუგუშვილი, როგორც პრემიერ-მინისტრის პოსტის კანდიდატი. უპასუხა რა კანონმდებელთა მრავალ კითხვას, მან ამავე დროს მოკლედ ჩამოაყალიბა თავისი პროგრამა, რომლიდანაც ნათლად ჩანს, რომ ახალი პრემიერი არის სახელმწიფო კაპიტალიზმის მომხრე.

დეპუტატებმა მიიღეს ესტონეთის, ლატვიის, უკრაინისა და რუსეთის უზენაესი საბჭოებისადმი მისალმებათა ტექსტები, რომლებშიც გამოთქმულია მზადყოფნა, დაიწყონ მოლაპარაკება ამ ქვეყნის მთავრობებთან ოფიციალური სახელმწიფოებსშორისი ურთიერთობის დამყარების შესახებ.

ახლა კი რაც შეეხება ჩვენთვის ყველაზე საჭირბოროტოსა და ძნელ საკითხს. ამბობენ, რომ ადამიანს სისხლით ნათესავებს ღმერთი აძლევს. მეგობრებს კი თვითონ ირჩევს. ალბათ, სწორედ ამიტომ, თავს დატეხილი უამრავი უბედურებიდან ქართველი ხალხი ყველაზე მეტად განიცდიდა თვისტომის ღალატს, ასეთები კი, სამწუხაროდ, არცთუ ისე ცოტანი ყოლია. ჩვენი ტრაგიზმითა და გმირობით აღსავსე ისტორიაში. და აი, სულ რამდენიმე დღის წინათ, როცა კვლავ ბედის მიჯნაზე ვიდექით, იყო ჩვენი ოცნებით ნალოლიავები და უკვე მკაფიოდ გამოკვეთილი თავისუფლება, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ გაზეთ „ცხოვრების" პირველ გვერდზე გვაცნობა, რომ იგი მხარს უჭერს დანაშაულებრივ ხუნტას, რაც, რა თქმა უნდა, ნიშნავდა იმას, რომ კომპარტია თანამშრომლობს ძალებთან, რომლებმაც 1917 წლის ოქტომბრის სისხლიანი ხმალი იშიშვლეს თავისუფლებისა და დემოკრატიის წინააღმდეგ.

სესიის დღის წესრიგში ეს უბედურება აღნიშნული იყო საკმაოდ კრიტიკულად „საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს, აფხაზეთის კომპარტიის რესპუბლიკური კომიტეტის, ყოფილი სამხრეთ ოსეთის, კომპარტიის საოლქო კომიტეტისა და ეგრეთ წოდებული სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა გაუქმებული საბჭოს თვითმარქვია აღმასრულებელი კომიტეტის მოქმედებათა შესახებ". დეპუტატების—როგორც ანტიკომუნისტების, ისე კომუნისტების—გამოსვლებში მკაცრად იყო დაგმობილი საქართველოს კომპარტიის პოზიცია, რომელმაც იგი ფაქტობრივად დამნაშავე ორგანიზაციების გვერდით დააყენა.

უზენაესმა საბჭომ მიიღო დადგენილება, რომლითაც აკრძალულია საქართველოს კომპარტია, ყველა კომუნისტური გაერთიანების ფუნქციონირება, შეჩერებულია საქართველოს კომუნისტური პარტიისაგან დეპუტატთა უფლებამოსილებანი. ამავე დროს დადგენილებაში აღნიშნულია, რომ დაუშვებელია მოქალაქეთა დევნა ან დისკრიმინაცია მათი კომუნისტური პარტიის წევრობის გამო.

ამით სესიის საგანგებო სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

ბაატა ცინცაძე,
თენგიზ ბრიგალაშვილი,
საქინფორმის საპარლამენტო კორესპონდენტები.

მხოლოდ ჭეშმარიტი მამულიშვილობით

მთელი ჩვენი რესპუბლიკა, მისი მოსახლეობა ამჟამად გადის ისტორიულად ერთერთ ურთულეს პერიოდს. მის ეკონომიკაში, სულიერ ცხოვრებაში მიმდინარეობს ძალზე ტკივილიანი, მძაფრი გარდაქმნები, რომელსაც თავისუფლება მსხვერპლიც სჭირდება. მხედველობაში გვაქვს სოციალური პრობლემები, გაჭახირებული ყოფა, ჩიხში შესული ეკონომიკა, ძნელად ასატანი სულიერი განცდები ყოველივე ეს იწვევს უკმაყოფილების მტანჯველ განცდას. ამასთან ამძაფრებს შეკრული სამშობლოს ხსნისათვის მაქსიმალური ძალისხმევის იმპულსსაც.

ხალხი გონიერია და ყველაფერს კარგად ხედავს. მან იცის, თუ ვინ უმზადებს ასეთ უმძიმეს ბლოკადას ჩვენს ქვეყანას. ეს ხომ ეგრეთწოდებული ცენტრის იმპერიული ამბიციებით ნაკარნახევი უდღეური პოლიტიკის შედეგია: კრემლი ყოველნაირად ცდილობს დააჩოქოს ქართველი ხალხი და ერთხელ კიდევ ჩაითრიოს მოდერნიზებულ წმკავშირო ხელშეკრულებაში. მათ ამ მცდელობას ჩვენმა ხალხმა არნახული სიმტკიცე, მყარი ნება უნდა დაუპირისპიროს. ქართველმა ხალხმა ერთდასამუდამოდ გადაწყვიტა მტკიცედ იაროს ეროვნული თვითგამორკვევის და სრული დამოუკიდებლობის გზაზე და კეთილი ინებონ იმპერიულმა ძალებმა ანგარიში გაუწიონ ამას.

იარაღით, ძალადობით, მუქარითა და შანტაჟით დღეს ერების შეშინება შეუძლებელია. ყველა პრობლემა პოლიტიკური დიალოგის ენით უნდა — გადაწყდეს დღეს, როგორც არასდროს გვმართებს ერთიანობა, ერთმუჭად შეკვრა და მტკიცედ დარაზმვა ეროვნული ხელისუფლების წინაშე.

ღრმად მჯერა: განსაცდელის წინ მდგარ საქართველოს ჭეშმარიტ მამულიშვილთა ერთგული თანადგომა ალარ მოაკლდება. მოკლეა ორგულთა გზა და ეს ყველამ დროულად უნდა გაითავისოს.

დ. ბერბედავა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნულ-ოპოზიციურ ძალთა კონფერენცია

21 აგვისტოს შედგა ზუგდიდის ეროვნულ-ოპოზიციურ ორგანიზაციათა კონფერენცია, რომელს. ც ესწრებოდნენ საზოგადოებრიობის წარმომადგენლებიც.

კონფერენცია ეხებოდა საქართველოში შექმნილი რთული პოლიტიკური ვითარების განზოგადებასა და მოსკოვის ამბების პოლიტიკურ შეფასებას.

კონფერენციაზე სიტყვებით გამოვიდნენ ეროვნული კონგრესის წევრები დ. ანთია, ვ. ყუფუნია, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრები დ. წერწეშია, მ. მაქაცარია, ზ. ბეკვაია, ილია ჭავჭავაძის საზოგადოების წევრი ქ. ტაბაღუა, საზოგადოებრიობის წარმომადგენელი ნ. ავალიანი და სხვები.

კონფერენციამ მიიღო შემდეგი შინაარსის მიმართვა:

„ვინაიდან იმპერია მოდერნიზაციის გადამწყვეტ ფაზაში შედის. კრემლი ახალ ფანდებს მიმართავს პოზიციის გამაგრებისათვის. კრემლის სცენარით დადგმული „პერესტროიკა" იქცა ეროვნულ მიმართული, როგორმე ავტორიტეტი აღუდგინოს დისკრედიტირებულ მთავრობას, თვალი აუხვიოს პოლიტიკურად ნაკლებად გათვითცნობიერებულ მასებს, გუშინ გორბაჩოვს „კრასნოდარელ ეურდსაც" რომ უწოდებდნენ, დღეს კი მისი ჯანმრთელობის მდგომარეობით შეშფოთებულნი, მის გამოჩენას ნატრობენ.

ჩვენ კი დავიწყეთ, რომ სწორედ გორბაჩოვია 9 აპრილის, სამაჩაბლოსა და სხვა სისხლიანი დღეების ავტორი და განტევების ჯოხს იაზოვის, პუგოსა და მისთანანის თავზე გადავტეხავთ.

გავიხსენოთ მე-20 საუკუნის დასაწყისში როგორ ითავა რუსეთმა დამონებულ ერთა მხსნელის მისია. ასე იყო მაშინაც, როცა ლენინი „რევოლუციის გარიჟრაჟზე" რუსეთის მიერ დაპყრობილ ხალხებს თავისუფლებას ჰპირდებოდა, ასეა ახლაც მაგრამ ნუ დავივიწყებთ ისტორიის მწარე გაკვეთილებს როცა ეროვნულ-გამათავისუფლებელმა მოძრაობამ თავალი მიაპყრო რუსეთს და დარჩა რუს დემოკრატთა იმედით, მაშინვე ჩაკლეს ეროვნული დამოუკიდებლობის იდეა. ფაქტია, რომ დღესაც არ არსებობს რუსეთში ძალა, როველიც შეელეოდა იმპერიას. განა დემოკრატმა ელცინმა როდისმე აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა? ის კი არა (გავიხსენოთ სულ ცოტა ხნის წინანდელი ამბავი) სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის გაუქმების მხარდაჭერის გამო როგორ უქნია თითი ელცინს რსფსრ-ს დემოკრატიულ პარლამენტმა.

ფხიზელი გონებით უნდა შევხედოთ მოვლენებს და ნუ გავაიგივებთ რუსეთში მომხდარ დემოკრატიულ ძვრებს იმპერიაში მიმდინარე ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობებთან. ნუ ვიქმნით ილუზიას თითქოს უკვე დამოუკიდებელი ვიყოთ, რამეოუ 19-21 აგვისტოს მოვლენებმაც ნათლად დაგვანახა ჩვენი რესპუბლიკის რეალური მდგომარეობა.

ბრძოლა ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ახალ ეტაპზე შედგა. დღეს მშვიდად ყოფნა კი არა, გვმართებს ხმამაღლა გავაცხადოთ ჩვენი რეალური მდგომარეობა და „ქართველი ხალხის სანოკვარი ოცნებაი".

ილია ჭავჭავაძის საზოგადოების ზუგდიდის განყოფილება.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ზუგდიდის კომიტეტი

ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის ზუგდიდის კომიტეტი.

21 აგვისტო 1991 წ.

მინაწერი: კონფერენციის დამთავრების შემდეგ გაიმართა პრესკონფერენცია ეროვნული მოძრაობის წევრებთან, რომელიც აზრთა მშვიდი ურთიერთგაზიარების ვითარებაში მიმდინარეობდა. ასეთ დროს დარბაზში ლანძღვა-გინებით, ყვირილით, შემოიჭრა ქალთა ჯგუფი, რომელნიც აუგად იხსენიებდნენ კონფერენციის მონაწილეთ, მუქარით ცდილობდნენ შეხვედრის ჩაშლას. მათ თავიანთი გვარებიც კი არ დასახელეს.

კონფერენციის მონაწილე როგორც ეროვნულ-ოპოზიციური პარტიები, ასევე საზოგადოებრიობის წარმომადგენლები ამ აქციას აუსებენ როგორც დემოკრატიის ჩახშობის ბოლშევიკურ მეთოდს და გმობენ მის მონაწილეთა საქციელს.

ეროვნულ-ოპოზიციურ ძალთა პრეს-ცენტრი.

ინფორმაციები ჩაის ფრონტიდან

თავდადებით იღწიან

ზიდაეწერის მეურნეობის შრომისმოყვარე ადამიანები დაუღალავად შრომობენ ჩაის პლანტაციებში. წლეულს პროგნოზის მიხედვით მათ უნდა მოკრიფონ 4950 ტონა ჩაის ფოთოლი. უკვე მოკრეფილია 4 ათას ტონაზე მეტი ნედლეული, რაც წლიური პროგნოზის 80 პროცენტია.

ეს მიღწევები განპირობა სწორმა ორგანიზატორულმა მუშაობამ, საჯარო. კომპლექსურ-მექანიზებული რგოლების მობილურმა საქმიანობამ. განსაკუთრებული მონდომება გამოიჩინეს იმ რგოლებმა, რომელთაც უძღვებიან მექანიზატორები: რამინ თორდია, რევაზ თორდია, იაშა თორდია, რევაზ გვიჩიანი, ძმები თემურ და ვალერი ჩხეტიანები, ალიკო ჭითანავა და სხვები.

მეურნეობის მშრომელება გარაუდობენ 10 სექტემბრისათვის უზრუნველყონ პროგნოზის წარმატებით შესრულება.

ჯ. თორდია,

მეურნეობის მთავარი ეკონომისტი.

„სინამდვილეა და ზღაპარს უდრის"

ახლახან გამოვიდა უმცროსკლასელთათვის განკუთვნილი ჯემალ ქირიას ვრცელი ზღაპარი „ბაციკუკუ", რომლის მიზანიც საბავშვო ლიტერატურის საერთო დანიშნულების ალეგორიული ფორმით გამოკვეთის ფონზე, გარკვეული სასწავლო-აღმზრდელობითი ამოცანების მხატვრული გადაჭრის ცდაც არის.

მწერლის აზრით, საბავშვო ლიტერატურის პრობლემები ბავშვთა საზოგადოებრივი აღზრდის საერთო მიზნებიდან გამომდინარეობს. საბავშვო ლიტერატურა უმთავრეს მიზნად უნდა ისახავდეს ახალგაზრდობის ზოგადი კულტურის ამაღლებას ფართო საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის. მწერალი მშვენივრად ხედავს, რომ ბავშვის ადრეული პერიოდის განცდები ქმნიან იმ ნიადაგს, რომელზეც შენდება მომავალი მისწრაფებანი და აზრის მიმართულება.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ მცირე ასაკის ბავშვის ცოდნასა და სერიოზულ მეცნიერულ-მხატვრულ აზროვნებას შორის კარგა მანძილია. ამიტომ, ამ დისტანციის გადალახვის ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებად საბავშვო ლიტერატურა არის მიჩნეული, რომელიც თავისკენ იზიდავს პატარა მკითხველს, უღვივებს წიგნის კითხვის მოთხოვნილებას სკბავშვო მწერლობის ამ დიდი სოციალურ-აღზრდითი ფუნქციის ერთ-ერთ ნათლად შეგნება ავალებს მწერალს, განსაკუთრებული პასუხისმგებლობით ეკიდებოდეს მას და საკუთარი პიროვნებისგან მოითხოვდეს ბავშვის ინტერესების, მისი ბუნების ღრმა და ფაქიზ ცოდნას.

ნაწილა-განათლების დიდი ვნიშვნელობა ჯემალ ქირიას თავის ზღაპარში გადმოცემული აქვს ბედოვლათობის, ცუდლუტობისა და სიზარმაცის დამღუპველი შედეგების ნათელი ეპიზოდებით, უცოდინარობისა და ჩამორჩენილობის ნამდვილი სახის გაშიშვლებით და იმ დიდი ზიანის ჩვენებით, რომელიც მოაქვს უწიგნურობას როგორც საზოგადოებისთვის, ისე პიროვნებისთვისაც. დაპირისპირება ცოდნისა და უვიცობისა, კონტრასტი ნასწავლსა და უსწავლელს შორის ყველგან ისეთი ოსტატობით აქვს გადმოცემული მწერალს, რომ პატარა მკითხველს აღუძრავს უსაქმურობისათვის სიძულვილსა და სწავლის წყურვილს.

ვფიქრობთ, ჯემალ ქირიას ზღაპრულ-ფანტასტიკური სამყარო დასახამს ქართული ხალხური ზღაპრების წიაღიდან იღებს, რომელსაც შემდგომ შეძლებისდაგვარად საკუთარ სულიერ ქურაში ადნობს და გარდაქმნის. თუმცა, აქვე უნდა გავითვალისწინოთ ის მომენტიც, რომ ზღაპრის სიუჟეტების შინაგანი სტრუქტურის თავისებურებებზე, როგორც ცნობილია, უკანასკნელ ათწლეულში ძალზე საინტერესო ლიტერატურა შეიქმნა. საკმაოდ ადიარებული სპეციალისტი ვ. პროპი თავის ერთ-ერთ ნაშრომში ასკვნის, რომ ყველა ჯადოსნური ზღაპარი აგებულებით ერთნაირია. იგი ერთგან წერს: „ჯადოსნური ზღაპრების სტრუქტურის შესწავლა ნათელს ფენს ამ ზღაპართა ნათესაურ კავშირს. ეს ურთიერთკავშირი იმდენად ღრმაა, რომ ზოგ შემთხვევაში ჭირს სიუჟეტების ერთმანეთისგან გამოცალკევება".

ჯემალ ქირიასთვის რეალური ყოფა წარმოადგენს საფუძველს, საიდანაც მხატვრული ხერხების მეშვეობით ამოიზრდება ფანტასტიკურ-ზღაპრული სამყარო. რეალურის შერწყმა ფანტასტიკურთან, სინამდვილისა— ზღაპრულთან, ამ ზღაპრის ქვაკუთხედს წარმოადგენს. „ბაციკუკუში" ორი ეთიკური ცნება უპირისპირდება ერთმანეთს: ბოროტება და სიკეთე; მავნე სულები—ჯადოქრები. ჭინკა-მაიმუნები, კაცვირთხები, კუდიანები სხვადასხვა ხრიკებით ცდილობენ დაიპყრონ ქალაქი „წადიგაიგე". ზღაპრის მიხედვით მათმა ბასტამ უარყო თავისუფლება, სილამაზე და ნეტარებით ელოდებიან— იმ დღეს, როდესაც კოსმოსური ხომალდის, „მზის მფეარის", ხელში ჩაგდების შემდეგ აღიდგენენ თავიანთ დემონურ შალას და მთელ სამყაროში საკუთარ ბატონობას დაამკვიდრებენ. გრძნეულებს ძლიერ ოპოზიციას უქმნიან კეთილი ძალები, ბომლებიც სულს ღაფავენ მათთვის საძულველ ყოფაში, ისწრაფვიან მაღალი იდეალებისაკენ, რაც ადამიანის არსებობის ერთადერთი მიზანი და დანიშნულებაა. სახელგანთქმული დეტექტივი ბაციკუკუ, მეხუთეკლასელი თაიან ვინჩაძე, მართა ბეხო, თაიან ფიდა მზისია, პაწაწკინტელი ვიანი პაწო, თაიას მამა ანუ ვინჩაძე თავდადებით იბრძვიან სიკეთისათვის ოა ამარცხებენ კეთილ ოროტებას. ზღაპრის მთავარი გმირების მხარდამხარ „ბაციკუკუში" მკითხველის ყურადღებას იპყრობს სკოლის მასწავლებელთა „პორტრეტები": ქალბატონი სკოლის დირექტორი „გაკვეთილი თუიცი", გეოგრაფიის მასწავლებელი პატიკო, ფიზკულტურის მასწავლებელი ოხოხო, ჩიტო მასწავლებელი, მათემატიკის მასწავლებელი ქალბატონი აღათი, ისტორიის მასწავლებელი ბატონი იაკინთე, რუსულის მასწავლებელი ლუდმილა რუსლანოვნა—პედაგოგთა ამ საკრებულოს წევრების უმეტესი ნაწილი, შეიძლება ითქვას, განათლების სისტემის ტიპიური წარმომადგენლების განზოგადებულ მხატვრულ სახეს წარმოადგენენ.

ჯემალ ქირიასთვის, ამ შემთხვევაში როგორც საბავშვო მწერლისათვის, მხატვრული სიტყვა პირველ ყოვლისა, მართალი სიტყვაა. ამასთან დაკავშირებით ისიც უნდა ითქვას, რომ რამდენიმე უმნიშვნელო ლაფსუსის მიუხედავად, „ბაციკუკუს" ენა მარტივი, სურათოვანი და კეთილხმოვანია. რომელიც არ არღვევს ზღაპრის იდეის სისწორეს. მის სიმართლეს.

მწერლის ფრაზა ზოგჯერ ემოციურია, გამოირჩევა თავისი მწყობრი რიტმითა და ფაქიზი ბგერით. ჯემალ ქირიას ენობრივი სტილი ზომიერად შეიცავს მხატვრული გამოსახვის საშუალებებს, იდეის ყოველი ნიუანსი პოულობს აქ თავისი გამოვლინების შესაფერის და მახვილ ფორმას. წერილი მოგვითხრობს დიდი ექსპრესიით და დამაჯერებლობის გრძნობას აღუძრავს მკითხველს. ძალიან უყვარს მწერალს თავისი გმირები და ასეთივე გრძნობით წერს მათ შესახებ.

ზღაპარში მხატვრული სიუჟეტის მთავარი იდეის სახით ჩვენ ვხედებით მრავალი ზნეობრივი პრინციპის პოპულარიზაციას. სიმართლე, პირდაპირობა, პატიოსნება, მეგობრობა, ადამიანის ღირსების დაფასება, მოყვასისათვის თავგანწირვა, გამბედაობა, თანაგრძნობა და სხვა მრავალი ზოგადსაკაცობრიო ხასიათის ზნეობრივი ნორმა დაამუშავა ჯემალ ქირიამ პატარებისათვის საინტერესო ამ ზღაპარში.

ჯემალ ქირიას „ბაციკუკუში" სიუჟეტის გაშლა მოქმედების ფონზე ხდება. სწორედ, ამიტომ ახასიათებს ამ ზღაპარს დინამიკურობა. ეს მოჩანს არა მარტო ნაწარმოების გმირთა ურთიერთდამოკიდებულებაში, არამედ შინაარსის იდეურ განვითარებაშიც. მოვლენების სწრაფი განვითარება, მოძრავი ეპიზოდები მის ზღაპარს ცხოველ ინტერესსა და ზემოქმედების მკვეთრ ძალას მატებს.

ჯემალ ქირიას ზღაპრის კომპოზიცია მარტივია. „ბაციკუკუს" იდეა, კვანძი და ფინალი შეკრულია სტრუქტურული მთლიანობითა და განვითარების ერთიანი რიტმით. კომპოზიციის ერთი მომენტი განპირობებულია მეორე მომენტით ისე, რომ თვით პერიპეტიებიც კი მხოლოდ მათ მიერ განსაზღვრულ ფონზე იშლებიან.

ნუგზარ გულორდავა.

ხვავი და ბარაქა, მეზობლებო!

ახალგამოღარიბულზე ნულმა ზღვაურმა დაუბერა თუ არა, რეზინის ჩექმები ჩავიცვი და ყანების დასათვალიერებლად გავედი. ლილინით „...ავსა და მოშურნესა დაუდგეს თვალი", გავყევ ენგურის ტოტს, რომელიც ხშირმა წვიმებმა იხსნა ჩაშრეტისაგან.

მიუხედავად მტირალა ამინდებისა, მართლაც გაუმართლა გლეხკაცს ნათესარმა. დარჩელის მეურნეობის დირექტორმა მ. ახალაიამ, როცა სოფელში საყანედ გათვალისწინებული მიწით ვერ დააკმაყოფილა სოფლის მოსახლეობა, ნება დართო ამოეძირკვათ არარენტაბელური ჩაის ფართობები, რითაც ნაწილობრივ მაინც მისცა მშრომელებს საყანე მიწები. ასე, რომ ადრე თოხთან უბრად მყოფმაც გამოიღო ხელი. გლეხმა რაკი იგრძნო ყანა ჩემია, მიწასაც აგრძნობინა პატრონის მოფერება.

ვათვალიერებ გვაჯა, თამუხ, იგორი კალანდიების, ვალიკო ქუკავას, ნიკიფო შენგელიას ყანებს და თითქოს მესმის ამ ბარაქიანი მიწების სამადლობელიცა და საყვედურიც... ჯერ იყო და, რამის კულტურა გააშენეს ამ მიწებზე, მერე ახალციხიდან მოტანილი ვაშლის ნერგები, რომელიც შემოსავლიანი გახდა თუ არა, ამოძირკვეს, თუთის ნერგი ჩაყარეს. თუთამ რომ იხარა და დარჩელელი მეაბრეშუმეები მოიმადლიერა, ისიც ამოძირკვეს. რას იზამ, ასე აწყობდათ უფროსებს. ბოლოს ჩაი დათესეს, მერე დარგეს და... ახლა აქ სიმინდის ყანა ღაღანებს (ეჰ, რამდენმა მესიმინდემ და ზემდგომებმა დაიმშვენეს მკერდი ოქროს ვარსკვლავითა და ორდენებით ამ ბარაქიანი მიწის წყალობით...).

ესეც დაბალმინდორი. ახეთი ლიდიხანია არ მახსოვს ეს ნამინდვრალი. ზღვაურს ფრთები გაუშლია ყანებში. ირხევიან ტაროებამოყრილი სიმინდები.

თავის ყანასთან პოეტი და ბავშვობიდანვე თოხს შეჩვეული კაცი დავით სალია შემხვდა. ხელში ნამგალი ეჭირა, გადამეხვია და გადარჩენა მომილოცა... დემოკრატიის გამარჯვება მოსკოვშიც... მერე დიდკონად შეკრულ ბალახზე მიმითითა, მელიკუდა არ გეგონოს, ჰყორტოტიაო, რძიანი ბალახი. შევეშველე. ზურგზე მოიგდო ბალახი და სახლისაკენ გამიძღვა.

— გივი კვარაცხელიას ნაშრომია რასაც ხედავ! — მიმითითა დავითმა მდინარის გაღმა. მართლაც ნიშანდობლივია. ეს ჭანდონით სავსე ჭარმაგი კაცი მწყრალად იყო კოლმეურნეობასთან (ან ვინ იყო კეთილგანწყობილი სხვა გზა რომ ქონოდა). ახლა კი ტრაქტორიცა ყავს, მინიტრაქტორიც და არა თუ საკუთარ ოჯახს უზრუნველყოფს, ბაზარსაც მიაწვდის...

ბაზარსაც მეთქი... გლეხკაცს მიეცი მიწა და თავისუფლება (ზოგს კი მონობა ურჩევნია, რას იზამ!) და მერე ნახე როგორ ამრავლოს ბარაქა. აი, თუნდაც რუსგენ სალიას ოჯახი. რუსგენი და ეთერი სამუშაოდ ახალდაბრუნებულნი იყვნენ, ჩვენ რომ მივედით. ოთხი შვილი ყავთ ამ ახალგაზრდა ცოლქმარს და თუ არა ისინი გაუჭირდებოდათ ამდენი სამუშაოსათვის თავის გართმევა. ინგამ საშუალო სკოლა დაამთავრა, ფელიქსი მეათეში, იზა მეშვიდეში, გოგა მეექვსე კლასში. ფელიქსი მამას არ ჩამოუვარდება ტრაქტორზე და მინი ტრაქტორით მუშაობაში. უმცროს ძმასაც შეასწავლა. ინგა და იზამ დედას შეუმსუბუქეს შრომა. ამიტომაც ყავთ ამდენი ფრინველი და პირუტყვიც. 22 სული ძროხა და კამეჩი ყავთ. 8 ათას კვ. მეტრი ფართობი ბოსტნეულს უკავია.

ეზოში ყურძენი აწყვია. არანაკლებ 500 ქილა იქნებაო, მეუბნება დავითი.

— შემოდგომისათვის კამეჩები იწველიდეს იქნება. მაწონს მივაწვდი ბაზარს, მაგრამ ბაზარში დგომის დრო სადა მაქვს. ამიტომ გადამყიდველებს ვაძლევ ბოსტნეულს თუ რძის პროდუქტებს, — გვეუბნება ეთერი და გვებოდიშება რომ ეზოში უწესრიგობაა სამშენებლო მასალა ყრია.

სახლის ასაშენებლად ცემენტის გარდა ყველაფერი გააჩნიათ. ორიოდე წლის წინათ ცემენტით დატვირთულმა მანქანამ გაიარა. იყიდეს. მეორე დღეს ორგანოს თანამშრომელი მოადგათ. საბუთი მოთხოვეს. საიდან უნდა მოეტანათ. ცემენტი ჩამოართვეს და თავიც ძლივს დაიხსნა რუსგენმა. ამის შემდეგ კერძოდ ცემენტის შეძენას ვერ ბედავს, დაწესებულებაში კი სად არის რომ შეიძინოს. ცემენტი რომ ქონდეს თვითონ აიშენებს სახლს. ყოველგვარი ხელსაწყო გააჩნია. სადურგლოც. ახლა ხომ არავინ ეტყვის, არაშრომითი შემოსავალიაო.

ისევ მივყვები მდინარის ნაპირს და მიხარია ჩემი მეზობლების: ტარიელ კალანდიას, რევაზ ფოფხაძის, კაკო და გივი მოსიების, ლეო ბოკუჩავას, ჭიჭიკო კალანდიას, ჩხაპელიების, თენგიზ ბუკიას ეზოებსა და ყანებს რომ შევყურებ, მათი ბაღ-ბოსტნების ბარაქიანობას რომ ვხედავ, ვფიქრობ, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის გზაზე დამდგარი საქართველოს პირველმა გაზაფხულმა მოგვიტანა ამისთანა ბარაქიანი შემოდგომა.

ხვავი და ბარაქა მეზობლებო!

ანტონ არნანია.

წერილები ოქტომბრიდან

პოპულარული ტრიო

სოფელ ოქტომბრის ცენტრალიზებული კულტურის სახლში (დირექტორი შ. კინწურაშვილი) ნაყოფიერად ფუნქციონირებს მომღერალთა გუნდი და ქალთა ვოკალური ტრიო. მათი ძალებით ხშირად იმართება საშეფო და საქველმოქმედო კონცერტები. საყოველთაო პოპულარობით სარგებლობს ქალთა ტრიო ელეონორა ქალდანის, მარინე კოლუასა და მზევინარ შენგელიას შემადგენლობით.

კარგად ემსახურებიან

სოფლის მშრომელები მადლიერნი არიან საფოსტო განყოფილების (გამგე ე. ჩხუტიშვილი) მუშაკთა კეთილსინდისიერი მომსახურებით. აქ განსაკუთრებული გულისყურით ეპყრობიან ომისა და შრომის ვეტერანებს, პენსიონერებს და, საერთოდ, ხელმომწერლამდე დროულად და უკლებლივ მიაქვთ ჟურნალ-გაზეთები.

ა. შამუგია.

სად წავიდა საქონელი?

გვაქვს სარწმუნო ცნობები იმის შესახებ, რომ ქ. ზუგდიდში რკინიგზაზე გადმოიტვირთა 100 ტონა თევზი, მას შემდეგ ერთი თვე გავიდა, მაგრამ თევზი სარეალიზაციო ობიექტებში არ გამოჩენილა, გარდა ბაზრისა. ფაიფურის ქარხნის ტერიტორიაზე მდებარე მაღაზია „ოკეანეში" იყიდება 16 მანეთად ღირებული თევზი, სხვა თევზი რატომ არ გაქვთ — მეთქი რომ ვკითხე, მიპასუხეს: სხვა თევზი რომ შემოვიტანოთ, მაშინ ეს 16-მანეთიანი არ გაიყიდებაო (?!). გასტრონომებში დიდი ხანია არ იყიდება თევზი, არც სასურსათო მაღაზიებში.

ხელფასით მცხოვრებ ხალხს კი იმის საშუალება არა გვაქვს, რომ კილო თევზი 16 მანეთად შევიძინოთ. იაფფასიანი ნაწარმი კი მაცივრებში ფუჭდება.

გვიპასუხონ ზუგდიდვაჭრობისა და ცეკავშირის ბაზის ხელმძღვანელებმა, სად წავიდა გადმოტვირთული საქონელი?

გრიგოლ მალანია.

ჩვენს რესპუბლიკაში

მედიკამენტებს გვაწვდის ახმეტა

ახმეტის ბიოქიმიურ ქარხანაში სრული სიმძლავრით ამუშავდა გლუკოსოლანის საწარმოო უბანი, რომელიც მსხვილფეხა რქოსანი მოზარდეული საქონლის ეფექტური სამკურნალო საშუალებაა.

ადგილობრივი ეკონომისტების აზრით, უბნის მოწყობაზე გაწეული ხარჯები მოკლე ვადაში ანაზღაურდება. დასახულია მიმდინარე წლის ბოლომდე აქ 900 ტონა შეფუთული გლუკოსოლანი გამოუშვან.

ახმეტელები ვარაუდობენ, რომ გამოუშვებენ კიდევ ასიათასობით ცალ მეორე სავეტერინარო პრეპარატს —„ტერავეტინ -500" ამ ანტიბიოტიკის მიწოდება, რომელსაც იყენებენ სასოფლო-სამეურნეო პირუტყვის მკურნალობისათვის, რათა დაიცვან ისინი ანთებითი დაავადებებისაგან, საწარმოსათვის ტრადიციული შემოსავლის წყარო გახდა, როგორც ბიოქიმიკოსებს მიაჩნიათ, საბჭოთა კავშირის ბაზარზე ამ სახის პროდუქციაზე დიდი მოთხოვნა ანტიბიოტიკის მაღალი ხარისხით აიხსნება.

ახმეტის ბიოქიმიური ქარხანა ზრდის აგრეთვე მედიკამენტების გამოშვებას. როგორც ვარაუდობენ, წელს ქარხნის მოგება საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის შედეგად ორ მილიონ მანეთს გადააჭარბებს.

ბრის ასეთი ქვეყანა

შვეიცარია

შვეიცარია ცენტრალური ევროპის ქვეყანაა. მისი მოსახლეობა შეადგენს 6,5 მილიონს. (1984 წლის მონაცემით). სახელმწიფოში ცხოვრობს დაახლოებით 700 ათასი უცხოელი. დედაქალაქია ბერნი 150 ათასი მცხოვრებით. მოსახლეობის ძირითადი ნაწილი — შვეიცარელებია, რომელთა 65 პროცენტი ლაპარაკობს გერმანულ ენაზე. 18 პროცენტი ფრანგულზე, 12 — პროცენტი იტალიურ ენაზე და ა. შ. მორწმუნე მოსახლეობის 50.2 პროცენტი კათოლიკეა, 48 პროცენტი — პროტესტანტი.

შვეიცარიის ჩამოყალიბების თარიღად მიჩნეულია 1291 წლის პირველი აგვისტო, როცა სამი კანტონი გაერთიანებულ იქნა კონფედერაციაში.

1818 წელს მიიღეს კონსტიტუცია, რამაც შვეიცარია სახელმწიფოთა კავშირიდან აქცია ერთიან, ფაქტიურად ფედერატიულ სახელმწიფოდ. 1874 წლიდან კონსტიტუცია შეცვლილ იქნა და იგი მოქმედებს დღემდე. ორ უკანასკნელ მსოფლიო ომში შვეიცარია განუხრელად იცავდა ნეიტრალიტეტს.

შვეიცარია ფედერაციული პარლამენტური რესპუბლიკაა, რომლის შემადგენლობაში შედის 23 კანტონი. ყოველ კანტონს აქვს თავისი კონსტიტუცია, პარლამენტი და მთავრობა, თუმცა კანტონების უფლებები განსაზღვრულია ფედერაციული კონსტიტუციით. საკანონმდებლო ხელისუფლება ეკუთვნის ფედერალურ კრებას (პარლამენტს), რომელიც შედგება ორი პალატისაგან: ეროვნული საბჭო (200 დეპუტატი) და კანტონების საბჭო (46 დეპუტატი). აღმასრულებელ ხელისუფლებას ანხორციელებს ფედერალური საბჭო (მთავრობა) 7 ფედერალური მრჩევლის (მინისტრის) მონაწილეობით. ამ უკანასკნელთ ირჩევენ 4 წლის ვადით. სახელმწიფოს და მთავრობის მეთაური კონფედერაციის პრეზიდენტი.

შვეიცარიაში რამდენიმე პარტიაა. მათ შორის: რადიკალურ-დემოკრატიული, დემოკრატიულ-ქრისტიანული, სოციალ-დემოკრატიული, ლიბერალური, სახალხო პარტია და ა. შ.

შვეიცარია — მაღალგანვითარებული ინდუსტრიული ქვეყანაა ინტენსიურად მზარდი სოფლის მეურნეობით. ეკონომიკაში წამყვან როლს თამაშობენ მსხვილი მონოპოლიები აშკარად გამოკვეთილი ტრანსნაციონალური ხასიათით.

შვეიცარიაში განვითარებულია ლითონდამუშავება და მანქანათმშენებლობა, ჩარხმშენებლობა, სატრანსპორტო საშუალებათა და საფეიქრო მოწყობილობათა წარმოება. აქტიური მოსახლეობის 5 პროცენტი დასაქმებულია სოფლის მეურნეობაში, და იგი 60 პროცენტით უზრუნველყოფს მთელი მოსახლეობის მოთხოვნილებას.

შვეიცარიას დიდი შემოსავალი შემოსდის უცხოური ტურიზმის სახით. ქვეყანა ერთერთ მოწინავე ადგილზეა საგარეო ვაჭრობის და კაპიტალის ექსპორტის სფეროში.

გამოხმაურება

ბოლო უნდა მოეღოს

ამას წინათ გაზეთმა „ოდიშმა" რამდენიმე წერილი დაბეჭდა ქალაქის კომერციულ საქმიანობაზე, კერძოდ კომერციულ მაღაზიებზე.

ამავე თემას ეხებოდა ჟურნალისტ კ. ფაჩუაშვილის წერილიც. მასში მოყვანილი ფაქტები სრულიად პასუხობს დღევანდელ კრიტიკულ სიტუაციას. კომერციულმა მაღაზიებმა, რომლებიც დღითიდღე ნაწვიმარზე სოკოებივით ამოდიან, ალბათ ორი ათასს მიაღწია ჩვენს ქალაქში. დასამალი არაა, რომ ისინი დიდ მორალურ და ეკონომიკურ ზიანს აყენებენ ხელფასზე მცხოვრებ პატიოსან ადამიანს. იქ გამოფენილი სასურსათო და სამრეწველო საქონლის ფასები დღითიდღე კატასტროფულად იზრდება.

უნდა ითქვას, რომ ეს მაღაზიები დიდ ზეგავლენას ახდენს ბაზრის სიძვირეზეც. თუ გლეხს შეევაჭრები, უხეშად მოგახლის, თუ ცალი ხიგარეტი 25 მანეთია, რატომ არ უნდა ღირდეს კილოგრამი სულუგუნი 30-35 მანეთი, ფუთი სიმინდი 30 მანეთი, კონა ქინძი — მანეთი, ლობიო — 10 მანეთი.

ადამიანს პირველ რიგში პირველადი მოხმარების საგნები სჭირდება, ხოლო ფუფუნების საგნების გარეშე როგორმე მოვითმენთ.

[illegible]

ისაა, რომ სწორედ პირველადი მოხმარების საგნების ყიდვა გვიწევს კომერციულ ფასებში, მაგალითად, ისეთის, როგორიცაა ჩვილი ბავშვის საკვები. განა ჩვენს დემოგრაფიულ პირობებში სულ უფასოდაც არ უნდა გვეძლეოდეს იგი?

კომერციული მაღაზიები ხშირად ოჯახური, კონფლიქტის მიზეზი ხდება, რადგან სხვათა წამხედურობით მოზარდები ითხოვენ უცხოურ ტანსაცმელს, ყველა მშობელს კი ამაზე ხელი არ მიუწვდება.

ჩვენი სურვილია, ბოლო მოეღოს ასეთ განუკითხაობას კომერციულ ვაჭრობაში.

„საქქალაქმშენებლის" შრომითი კოლექტივის სახელით.

ვლადიმერ შონია,
შრომის ვეტერანი.

ფ ე ხ ბ უ რ თ ი
ბიბლიოთეკა

უბნის ექიმ-თერაპევტმა მალხაზ ენვერის ძე ჯალაღონიამ გამწყია დახვარება 7-თვე წწოლარე ვიყავი და უეხზე დამაყენა. თავს უკეთ რომ ვგრძნობ, მისი დამსახურებაა, მადლობა მას გულსხმიერებისათვის.

ამირან ღაღუა.

ზუგდიდის ცენტრალური სტადიონი
(დავით ალმაშენებლის ქუჩა № 4)
1991 წლის 3 სექტემბერი
ფ ე ხ ბ უ რ თ ი

საქართველოს ეროვნული თასის მეთექვსმეტეფინალური თამაში.

„ამირანი“ ოჩამჩირე — „ბახმარო“ ჩოხატაური

დასაწყისი 17 საათზე

შესასვლელი ბილეთები გაიყიდება 3 სექტემბერს დილის 10 საათიდან სტადიონის სალაროებში.

საფეხბურთო კლუბი „ოდიში“

ორმხრივი იერიშით

„ოდიში“ (ზუგდიდი) — „შევარდენი“ (თბილისი)
ქ. ზუგდიდი, ცენტრალური სტადიონი — 2:1.

თამაში დაიწყო საშუალო ტემპში, მერე კი ორივეთან გამოიკვეთა მასპინძელთა უპირატესობა, მე-11 წუთზე შეროზიამ ვერ გამოიყენა ხელსაყრელი მომენტი, კირსენკოს ძლიერი დარტყმა კი მოიგერია სტუმართა მეკარემ. მე-15 წუთზე უხეში შეცდომა მასპინძლებს კინაღამ გოლის ფასად დაუჯდათ. 23-ე წუთზე მშვენიერი სამსვლიანი კომბინაცია კვარაცხელია — კირსენკო — ყიზილაშვილი დამთავრდა სტუმართა კარის აღებით 1:0. ამ თამაშში განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ კირსენკოს წვლილი, რომელიც სულ უფრო იხვეჭს ზუგდიელ გულშემატკივართა სიმპათიას. 29-ე წუთზე ყიზილაშვილმა ვერ გამოიყენა კვარაცხელიას კარგი გადაცემა, 34-ე წუთზე კი მანვე ლამაზი გადაცემით შეროზიას შეუქმნა ხელსაყრელი პოზიცია და... 2:0.

მეორე ტაიმშიც აქტიურად უტევდნენ ზუგდიდელები, მაგრამ სტუმრებმაც უმატეს ტემპს და 71-ე წუთზე შეძლეს კიდეც საპასუხო ბურთის გატანა საჯარიმო დარტყმით 1:2. ამის შემდეგ თამაში წარიმართა ორმხრივი იერიშით, სტუმრებს ჰქონდათ ანგარიშის გათანაბრების საშუალება, თუმცა მასპინძლებსაც შეეძლოთ ანგარიშის გაზრდა. საბოლოოდ ანგარიში არ შეცვლილა 2:1.

რომან გაგისონია,
(ჩვენი კორ).

რედაქტორი
აკ. ჭანტურია.

ზუგდიდის რესპუბლიკური საავადმყოფოს ტრავმატოლოგიური საზოგადოება იუწყება რომ გარდაიცვალა რესპუბლიკის ორთოპედიულ-ტრავმატოლოგიური სკოლის პატრიარქი, პროფესორი

ილარიონ ანტონის ძე აკობია

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

დედა ლიდა, მეუღლე გოგონა ქეიდია, შვილი ნანა. დები: ზამორა გელენავა, იზოლდა ლეიზა ჯგერენაიები, დისშვილები: თამარი, ზაზა ახალაიები, გია როგავა ლიკა. ზვიადი გუგუჩიები. სიძეები: ვასიკო ნიკოლაიშვილი, ნოდარი ახალაია, ლენგი როგავა, გონერი გუგუჩია. ცოლისძმა გურიკა ქეიდია ოჯახით. დეიდები: ოლია, ვენერა. ბიძა ლეონტი ლატარიძ. ცოლისძმისშვილები, დეიდაშვილები. ბიძაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან

გივი მიხეილის ძე გელენავას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 31 აგვისტოს 1, 2 სექტემბერს, გამოსვენება 3 სექტემბერს 17 საათზე რუსთაველის № 269.

მეუღლე ივდენი, შვილები: სერგო, ტარიელი. შურა, ფანდიკო, ჯული ყურაშვილები, ლამარა. ჯემალი ქირიები. ძმა ალიოშა, და ეუფა, სიძეები: გოგი კოდუა, მიშა რუხაია, რაულ ჯომიდავა, მერაბი ადამაძე. იამა ფიფია. რძლები: ვენერა, ეთერი, ნუცა, ნათელა, რაია. იზო ცოლისძმა ბაჯგუ ღურწკაია. ძმისშვილები. მექი, გონელი, ბადრი. ლეიზა, მამუკა. დისშვილი ლული ქარჩავა. შვილიშვილები, ბიძაშვილები დეიდაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან

ხუტა რაუდენის ძე ყურაშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 31 აგვისტოს, 1 სექტემბერს, დაკრძალვა 3 სექტემბერს, გამოსვენება ქ. ზუგდიდი, კოლხიდის ქ. № 22, 5 საათზე.

მეუღლე ეკო, შვილები: ლეიზა, ინეზა, როზა, ვენერი, მალხაზი, და ფაცია კუპრავა, რძალი ნინელა გოგოხია. შვილიშვილები იუწყებიან

ნათელა ლევანის ასულ კუპრავა-მოხიას

გარდაცვალებას. დაკრძალვა 3 სექტემბერს, სოფ. დარჩელში.

დეიდა ოლია. დეიდაშვილები: ფერდინანდი, ანზორ ქირიები. რძლები: ელზა დალუნდარიძე, ლედი რუხაძე, დეიდასშვილიშვილები: ლერი, ეკა, ინგა. ირმა ქირიები იუწყებიან

გივი მიხეილის ძე გელენავას

გარდაცვალებას, და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ზუგდიდის ყველკარაქის ქარხნის კოლექტივი იუწყება

მაგული ილიას ასულ-ბიგვავა-ცავავას

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ბიძაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლუცია თედორეს ასული აბრალავა

პანაშვიდი 31 აგვისტოს 19 საათზე, დაკრძალვა 1 სექტემბერს. გამოსვენება 17 საათზე. ქ. სოხუმი, ჯგუბურიას ქ. № 4.

შვილები: აპალონი, კარლო, ეთერა ონერი, გული, და მაგლო, რძლები: ლენა, მადონა, დინარა, ნელი, ნანი, მარინა, ირმა. შვილიშვილები: ლამარა, ჯონი, მანანა, ცისანა, ეკა, ნონა, ჯონდო, ინგა, თენგო, ცირა, ბაკური, მაკა. ძმისშვილები: გულნარა, სოსო თორიები. სიძეები: იგორი გელენავა, დოდი ღურწკაია გიგლა ჯახია გოჩა ლეფსაია, გრიშა პერტახია. შვილთაშვილები, დეიდაშვილები, ბიძაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან

ტარასი (ტრიფონ) კოჭოპას ძე თორიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 31 აგვისტოს, დაკრძალვა 3 სექტემბერს. სოფ. შამგონაში.

მეუღლე ნათელა, შვილები: ტუტუ, მზეკინარი რძლები: დენიზა მანჯგალაძე, ვენია, ნორა ბულიები. სიძე: დავითი ხორავა, შვილიშვილები: ფატიმა, კობა, რამაზი, ნუკრი, ძმისშვილები: მურმანი, ტერენტი, ველოდი, კუკური, როინი, რაისა, ვარგინა, ციური, მადონა, ჩიტო, სულიკო ბულიები. მძახალი ნუცა მანჯგალაძე, დეიდაშვილები: გივი, კაი ეუფი, იცინო, ფოთოლა შენგელიები. ცოლისდები: გოგოლა, ლუშა, ციალა მანიები. ქვისლები: ამირან თორდია, ღუღუნი ნორაკიძე. ჯვეგე ბარკალაია, ომიკო ხასია ოჯახებითა და ახლო ნათესავებით იუწყებიან

ნეტარ ილას ძე ბულიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 1, 3, 4 სექტემბერს. დასაფლავება 5 სექტემბერს, ნაწულუკუს სასაფლაოზე.

ზუგდიდის ყრუთა საზოგადოების კოლექტივი იუწყება ყოფილი თანამშრომლის

ამირან დიმიტრის ძე გადელიას

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ბუკიას ქ. № 1-ში მდებარე კოოპერატიული სახლი „დილა“ № 4-ის მობინადრეები იუწყებიან

ტატიანა ალექსანდრეს ასულ ზარანდიას

გარდაცვალებას.

ქალაქ ზუგდიდის ვაჟთა საშუალო სკოლის 1954 წლის კურსდამთავრებულები იუწყებიან

ჯემალ პროფის ძე ფარცვანიას

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ეთერ და მამა ნაყოფიები ოჯახით თანაუგრძნობენ ვალიკო და ვანიჩა შონიებს ოდის

ლიდია მალხაზის ასულ შეროზია-შონიას

გარდაცვალების გამო.

ლაური მესხია და ეთერ როგავა შვილებით: კობა და ლაშათი იუწყებიან

ტატიანა ალექსანდრეს ასულ ზარანდია-მესხიას

გარდაცვალებას.

მეუღლე სოფიო ქორქაძე, შვილები: ნონა, ტანია, მერი. სიძეები: ვიქტორი ლიანი, ალექსანდრე მაკაბარიანი, მამული ახობაძე, შვილიშვილები: გიორგი, პაატა, ლეონი, მძახლები ლევან მაკაბარიანი, ლილი პატარიძე, თინა წიქვაძე. ძმისწულები სოსო, ჯუმბერი. გივი, ზაზა აკობიები. ძმისწულისშვილები კობა, მარინა. ირინა. ჯონი, კახა. ლალი, თემური რძლები ნორა, ნონა, ლიანა, დოდო აკობიები ბიძაშვილები, მამიდაშვილები, იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ილარიონ (ჯოგო) ანტონის ძე აკობია

პანაშვიდი 31 აგვისტოს, დაკრძალვა 1 სექტემბერს ქ. ჯვარში, 17 საათზე.

მეუღლე ბაბუცა, შვილები: მზია, ია, ლია. გულნაზი. დები: ვალია ლამარა ხვინგიები ფიცხი ჯოჯუა. ძმები: შალიკო მიქავა, კოტე, ილიკო ხვინგიები. სიძეები: შალიკო შენგელია, რეზო ჯანაშია. ბირო ჭითანავა, ზური სამეკია. თამაზი წითაშვილი. ბესიკი ქირია. დისშვილები: ნუცა ჯოჯუა, თამაზი, რამინი, მზიური, თემური. მზეკინარი ნატო შენგელიები. თეა ჯანაშია. ძმისშვილები ციალა, დოდო, მედიკო, ლიანა ფრიდონი. ბორისი მიქავები. ბორისი. დემური. ნარგიზა, ნინელა, ეიმზარი. ბელა. ლერი. ნინო. ირმა ხვინგიები. ცოლისდები: ოლია, როზა. ცოლისძმები: პიმენი. ორდე ღუბელაძეები. რძლები: ნელი ფარუნავა, ეთერი დამენია, ემა ინჯიბაშვილი. სულიკო მასლენკოვა. შვილიშვილები ზაზა, ნანა ჭითანავები. ია. ლადო საბეკიები. ალია. ნუსანა წითაშვილები. ბიძაშვილები. მამიდაშვილები, დეიდაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან

ვლადიმერ (ლადო) ძიკის ძე ხვინგიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 3, 4 სექტემბერს დაკრძალია 5 სექტემბერს ახალსოფელში.

მეუღლე ნუცა. შვილები: იზოლდა. ლუარა, მურმანი. ზაური, ვაჟა, ვახტანგი, თენგიზი. სიძეები მურმან ლემონჯარია, მუშური ლეფსაია რძლები: ნუნუ. იამზე. ელისო, სვეტა, ნათელა. შვილიშვილები: ლელა, ლენიკო, ზურაბი ზვიადი, თენგიზი, ირმა. თეა თამაზი, რუსლანი, ლიკა. ნათია. საღომე, ია. ია ძმისშვილები: ლონდა, ათო. ცოლისდები: ვერჩა. ნატრული. ნანული ქსენია, მერი. ცოლისძმა შახი ქობალია. ბიცოლა ვერა ბილქანია. ბიძაშვილები: რეზო. ბეჟიკო კოიმენტი, ლალა, ლამარა. დეიდაშვილები, მამიდაშვილები ოჯახებით და ახლო ნათესავებით იუწყებიან

ივანე (ვანიჩა) მელენტის ძე ლაგვილავას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 31 აგვისტოს დაკრძალვა 1 სექტემბერს სოფ. ჟორცხელში.

შურა სიჭინავა და ბოჩო ჭაავა შვილებით ალი და მამუკათი იუწყებიან რომ გარდაიცვალა

ამირან დიმიტრის ძე გადელია

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

მეუღლე როზა გამსახურდია, შვილები: ხათუნა, ხვიჩა. რძალი ნანი ჭაჭუა, დები: ძაბული, ლამარა გოგოშა, ძმები: შალიკო, გრიშა. ვალიკო, მიტუშა, შაქრო. ჯამბული გადელიები. სიდედრი ლილი სიჭინავა, რძლები: თამარა ლოლა, ნელი, ლალი, ნელი. სიძეები: რობერტი ჩაგინავა, ინდიკო ესართია, დისშვილები: რომანი, ლეილა ჩაგუნავები. რომანი, მედეა ჩაგინავები. გოჩა, რევაზი ესართიები, ძმისშვილები: ნელი სოლიკო. დემური, ზურაბი, მურთაზი, გიგლა, ნაირა. ნანული. მოკონა. ელეარდი, ნოეზარი, დავიზი. მადონა, მაია დიმიტრი. ნანა, ნინო, ოთო გადელიები, ცოლისდა ნაირა გამსახურდია. ქვისლი პალიკო გერგედავა, ბიცოლები: ფუშა, ლენა, მზახლები: გულნარა, გურამი ჭაჭუები. დეიდაშვილები. მამიდაშვილები. ბიძაშვილები, ახლო ნათესავები იუწყებიან

ამირან დიმიტრის ძე გადელიას

გარდაცვალებას, პანაშვიდი 31 აგვისტოს 1 სექტემბერს, დაკრძალვა 3 სექტემბერს, გამოსვენება გ. ჭყონდიდელის (ყოფილი ცხაკაიას) № 16. 18 საათზე.

მეუღლე დოდო ხუნჯუა, შვილები: ნინო, მამუკა, ძმა მურმანი ფარცვანიები. რძლები: ლია, მიქავა. რუსიკო ხარებავა. მარინა ფარცვანია. სიძე ზურაბ არსენაშვილი. შვილიშვილები: თამუნა ფარცვანია, მარი, გიორგი არსენაშვილები. ძმისწულები: ნანა, ნატა. ალექსანდრე, გია. დათო, ირაკლი ფარცვანიები. ცოლისდა ლამარა, ცოლისძმა ჯუმბერ ხუნჯუები. ქვისლი გურამ ლაღიძე. მძახლები: ნინო, გიორგი მიქავები. მერი გოგი არსენაშვილები. დეიდები: ოლია, ნორა. ბიძა შალვა ალანდარიშვილები. ბიძაშვილები. მამიდაშვილები. დეიდაშვილები ოჯახებით იუწყებიან

ჯემალ პროფის ძე ფარცვანიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 1, 3, 4 სექტემბერს, დაკრძალვა 5 სექტემბერს 17 საათზე. გამოსვენება ზუგდიდი, ცოტნე დადიანის 35.

მეუღლე ეთერი ჯგერენაია, შვილები: ინეზა, ზურაბი, მადონა, თამრიკო, მამუკა. დები: თათუშა, სულიკო, ძმები: შალიკო, ლეო ლეონიკა. ჯაბუები. შვილიშვილები: ვეფხვია, ირმა ომანიძეები. პაპუნა, დიმა, სოზანა, როზანა ჯაბუები. გოგიჭა. მარიკა. დათა მონიკა დარსანიები, ლიკა, ია აბაკელიები, ცოლისდები: ნანული, ენძელა. გოგუცა. ცოლისძმა ჰამლეტი ჯგერენაია. რძლები: ციალა. მარგო, მარინა. ია, დარეჯანი, სიძეები: შალიკო ქობალია ბორის ომანაძე. თამაზ დარსანია ეური აბაკელია. დისშვილები: ლეონა, ნუგზარი ქობალიები. ძმისშვილები: გურამი, მზია, ნინო. ზვიადი. რაჭიერი ჯაბუები ბიძაშვილები, მამიდაშვილები ოჯახით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

აკაკი იატეს ძე ჯაბუა

პანაშვიდი 31 აგვისტოს. 1 სექტემბერს, გამოსვენება 3 სექტემბერს. საბჭოს № 49.

მეუღლე გუგუ, დედა ვარდიშა, დედამთილი შვანტი, შვილები: მანონი, მამუკა, მაია. შვილიშვილები ლიკა, ნათია, ლაშა. დები: ნოკომა, ფუფული. ძმები ენგური. კორნელი. მული გოგოლა, მაზლები: შალიკო, ეორეი, ნოდარი. რძლები: ნუნუ, ქორდიკო. ზოია ბუკიები, ზინა, ნანული სიჭინავები, სიძეები დემური დარსანია, ზურაბი წურწუმია. მეტვარი ხუნჯუა. გურამი ხუნწარია, ინდიკო წულაია. ბიძები გრიშა. ცეკვი ნარსიები, ბიცოლები: ვერა, ცაცა სიჭინავები. ლეონა. თამარა, ვალია ნარსიები, დისშვილები: სოსო, ნანი. ნაზი, ზურაბი, მერაბი, რუსლანი, ინგა, ძმისშვილები: ნატაშა, ეკა, ეკა, სტასიკა, მულიშვილები. ხვიჩა, გოჩა, რუსიკო, ხათუნა მაზლიშვილები: შაქრო, ზურაბ, ვახტანგი, სოსო, ემზარი, ქიმეარდი. იგორი, მზახლები: არდაშელი ლამარა დარსანიები, მზია, ადიკო წურწუმიები, ბიძაშვილები. მამიდაშვილები. დეიდაშვილები ახლო ნათესავები იუწყებიან

სვეტლანა (ქეთო) შალვას ასულ სიჭინავა-ბუკიას

გარდაცვალებას, პანაშვიდი 1, 2 სექტემბერს. დაკრძალვა 3 სექტემბერს სოფ. ნარაზენში, გამოსვენება სტალინის ქ. № 147-დან.

დედა საშა მეუღლე ნელი. შვილები: როზენი, ინეზა, მზევი, აზა. ძმა არგელოდი, დები: ქეთო. მარუსია ნახია, რძლები: ნატრული ბარამია. მიმოზა ხუბუა, მარგო მგალობლიშვილი, სიდედრი ენინა ჯიქია. ცოლისძმა მოკოდია ხვიჩია, ცოლისდები: ნათელა. თალიკო. ნანული. შურა, ნაირა ხვიჩიები, სიძეები: ომარი. მოგელი ღურწკაიები, მუტუ როგავა, კაპიტონ ჯანჯღავა. ვახტანგი ბარნაბიშვილი. დათიკო კიტია, ხუტა ბერულავა, რეზო კვარაცხელია. ამირან ალანდია შვილიშვილები: დათა, გიგა. ხატია ნარსიები ბესიკი. პაპუნა, მანუნარი, გოჩა ღურწკაიები, ნათია. სოფიკო. ოდიკო. ირაკლი როგავები. ძმისშვილი ნუკრი ნარსია, დისშვილები: ოლეგი, ისიდა. დათო ჯანჯღავები. ეკა. თემური ბარნაბიშვილები. ბიძაშვილები, მამიდაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან

ვალიკო ფარნას ძე ნარსიას

გარდაცვალებას. დაკრძალვა 31 აგვისტოს სოფ. ჭაქვინჯში.

და ნათელა. დისშვილები მიმოზა. ციცო, გული, ეკი გორდელაძეები სიძეები ვალერიან გორგილაძე, ჯუმბერ ცანავა. ზაურ შეროზია. რემიკო ზარანდია, რძალი თამრიკო კულუა ოჯახებით იუწყებიან

დათო ერასტოს ძე ხუნწარიას

გარდაცვალებას. დაკრძალვა 1 სექტემბერს სოფელ ობჯაში (წალენჯიხის რაიონი).

ყიელ-კარაქის ქარხნის მუშა-მოსამსახურეები თანაუგრძნობენ დოდო ხუნჯუას მეუღლის

ჯემალ პროფის ძე ფარცვანიას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს იცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ინდექსი 66507 რედაქციის მისამართი: ქ. ზუგდიდი, მერაბ კოსტავას ქ. 56. ტელეფონები: რედაქტორის 2-24-80, რედაქტორის მოადგილის 2-33-69, პასუხისმგებელი მდივნის 2-31-96, სოფლის მეურნეობის განყოფილების 2-21-78, მშრომელთა წერილების 2-25-12, რადიორედაქციის 2-47-00.

ბეჭდავთ სიტყვის საქართველოს რესპუბლიკის დეპარტამენტის ზუგდიდის სტამბა, მერაბ კოსტავას ქ. №56, 2-28-07, ტირაჟი 8000 შეკ. № 4052